

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის

### ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის №1 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 18 619,0 ათ.ლარით.

2018 წლის I კვარტლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 1 ცვლილება:

I. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის №22 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 2017 წლიდან გარდამავალი ნაშთებით და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულებით გამოყოფილი თანხებით:

გაიზარდა სულ შემოსავლების და გადასახდელის ნაწილში **8 030 236,93** ლარით:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა **4 006 017,93** ლარი. მათ შორის:

1. თავისუფალი ნაშთი - **3 231 604,91** ლარი;
2. მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი - **2 010** ლარი;
3. საქართველოს მთავრობის #175 განკარგულება (04.02.2016 წ.) (რეგიონალური პროექტები) – **127 954,77** ლარი;
4. საქართველოს მთავრობის #480 (14.03.2017 წ.) განკარგულება (რეგიონალური პროექტები) – **173 659,28** ლარი;
5. საქართველოს მთავრობის #1401 (06.07.2017 წ.) განკარგულება (რეგიონალური პროექტები) – **57 351,11** ლარი;
6. საქართველოს მთავრობის #1525 (21.07.2017 წ.) განკარგულება (სტიქია) – **408 340,93** ლარი;
7. საქართველოს მთავრობის #265 (19.02.2016 წ.) განკარგულება (სოფლის პროექტები) – **5 096,93** ლარი;
8. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **4 024 219** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **4 024 219** ლარი;

2018 წლის I კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2018 წლის ბიუჯეტი 1 აპრილის მდგომარეობით განისაზღვრა **26 649,2 ათ.ლარით**:

- 1) გადასახადები - 6350,0 ათ.ლარი
- 2) ტრანსფერი - 13578,2 ათ.ლარი
- 3) სხვა შემოსავლები - 2465,0 ათ.ლარი
- 4) არაფინანსური აქტივების კლება - 250,0 ათ.ლარი
- 5) შემოსავალი ნაშთიდან - 4006,0 ათ.ლარი.

**იხ.დანართი#1**

### **შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შემოსულობებმა 2017 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 3581,4 ათ. ლარი, წლიური გეგმის 15,81 %-ი (წლიური დაზუსტებული გეგმა 22 643,2 ათ.ლარი, (იხ.დანართი #2)

შემოსავლების წლიური გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულებულია 13,16 %-ით (გეგმა 9065,0 ათ.ლარი, შესრულება 1192,9 ათ.ლარი), მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის გეგმა შესრულებულია 9,18 %-ით ( წლიური გეგმა 1350,0 ათ.ლარი შესრულება 124,0 ათ.ლარი).
- ქონების გასახადის გეგმა 1,59 %-ით ( წლიური გეგმა 5000,0 ათ.ლარი შესრულება 79,5 ათ.ლარი) ;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის გეგმა შესრულებულია 72,19 %-ით ( წლიური გეგმა 520,0 ათ.ლარი, შესრულება 375,4 ათ.ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 34,72 %-ით( წლიური გეგმა 55,0 ათ.ლარი, შესრულება 19,1 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 12,0 %-ით (გეგმა 110,0 ათ.ლარი, შესრულება 13,2 ათ.ლარი);
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 47,66 %-ით (გეგმა 600,0 ათ.ლარი, შესრულება 286,0 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 22,73 %-ით (გეგმა 150,0 ათ.ლარი შესრულება 34,1 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 18,01 %-ით (წლიური გეგმა 900,0 ათ.ლარი,შესრულება 162,1 ათ.ლარი);
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 35,92 %-ით (წლიური გეგმა 120,0 ათ.ლარი,შესრულება 43,1 ათ.ლარი);
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 19,72 %-ით (წლიური გეგმა 250,0 ათ.ლარი,შესრულება 49,3 ათ.ლარი);

2018 წლის I კვარტლის მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 2388,6 ათ.ლარი, მათ შორის:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერი – 2325,3 ათ.ლარი ;
- ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 63,3 ათ.ლარი ;

### გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი ( ხ ა რ ჯ ე ბ ი )

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა დაზუსტების შემდეგ შეადგენს 26649,2 ათ.ლარს (იხ.დანართი №3). ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2018 წლის I კვარტლის მდგომარეობით შეადგინა 4074,1 ათ. ლარი წლიური გეგმის 15,28 %, მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 963,4 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 4828,3 ათ.ლარი) 19,95 %;
- ქვეყნის დავდაცვისუნარიანობის ამალგების დაფინანსებამ შეადგინა 35,4 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 148,0 ათ.ლარი) 23,92 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 1344,9 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 13400,1 ათ.ლარი) 10,0 % ;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 759,0 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 3500,0 ათ.ლარი) 21,68 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 719,0 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 3308,0 ათ.ლარი) 21,74 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 252,8 ათ.ლარი, წლიური გეგმის 17,25 %;

2018 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის I კვარტლის ხარჯებმა შეადგინა 66,84 ათ.ლარი (დანართი #4)

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური  
უფროსი:

/გ.მამაკაიშვილი/